



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-144

04/08/2017

ქ. თბილისი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის დამატებითი
საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის
შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) უმაღლესი განათლება – საერთაშორისო სამართლის, სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო ეკონომიკის, საჯარო მმართველობის, უცხო ენის (ინგლისური ფილოლოგიის) სპეციალობით;

ბ) საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით არანაკლებ ერთწლიანი მუშაობის გამოცდილება;

გ) სავალდებულოა უცხო ენების (ინგლისური – ძალიან კარგი და რუსული – კარგი) ცოდნა;

დ) კომპიუტერული პროგრამების (MS Word, Power point, Excel,) კარგად ცოდნა;

ე) ოფიციალური წერითი და ვერბალური კომუნიკაციის ელემენტების/სტანდარტების ცოდნა;

ვ) დიპლომატიური ეტიკეტისა და პროტოკოლის ცოდნა;

ზ) საქართველოს კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების, „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციის, „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, მარაკეშის დეკლარაციის - 1994 წლის 15 აპრილი (სოფლის მეურნეობის შეთანხმება), „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის №485 დადგენილების, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ (ძირითადი ასპექტები), „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის №167 განკარგულების ცოდნა.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი